07/05/2025

MES 8 25 0000499734

სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 29.04.2025
სხდომის დაწყების დრო: 12:00 საათი
სხდომის დასრულების დრო: 13:43 საათი
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
სხდომის მდივანი: ქეთევან გილაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში - დებულება) 28^5-ე მუხლის მე-14 პუნქტის საფუძველზე სააპელაციო საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით. საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სააპელაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი** - შპს "საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის" ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით, პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
2. **ლევან ნიკოლეიშვილი** - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;**
3. **ქეთევან გილაშვილი** - საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის სკოლამდელი განათლების ექსპერტი - **საბჭოს მდივანი;**
4. **ერეკლე ასტახიშვილი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
5. **ირმა შიოშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი;
6. **ირაკლი კორძაია** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;

7. **ქეთევან ნატრიაშვილი** - გერმანული საკონსულტაციო კომპანიის - PE Consult GmbH პროფესიული განათლების პროგრამის გუნდის ხელმძღვანელი, პროექტის მენეჯერი;
8. **ჯონი ბოჭორიშვილი** - სსიპ - ქალაქ თბილისის N207 საჯარო სკოლის დირექტორი;
9. **თეონა თიგიშვილი** - შპს "ჯეო სქაი სქულის" მასწავლებელი;
10. **ხათუნა ბარაბაძე** - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მასწავლებლის/დირექტორის პროფესიის რეგულირების პროგრამის მენეჯერი, შპს "ევროპული სკოლის" ქართული პროგრამის ხელმძღვანელი;

სხდომაზე დამსწრე პირები:
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომ ადგენლები:

1. **დავით კუხალაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
2. **ქეთევან ინანაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
3. **ლალი ოდიშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - ავტორიზაციის საბჭო) წარმომადგენელი:

1. **თამარ იოსელიანი -** უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

- მარინე იოსელიანი - რექტორი;
- თედო სანიკიძე - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;
- დავით წასიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
- ნიკა გიგაური - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი;
- მარიამ კეკელიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი;
- ლუკა ბერაია - ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი;
- ელენე ბერიძე - ადამიანური რესურსების სამსახურის ხელმძღვანელი;
- ნანი მაჭარაშვილი - კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
- ჟანა ანთია - ტრენინგებისა და კონსულტაციების ცენტრის ხელმძღვანელი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28^5 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ,გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28[5] მუხლის მე-5 პუნქტის, შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28[7] მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. "ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ავტორიზაციის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 5 დეკემბრის №1566706 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარის განხილვა.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 12:00 საათზე
შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

სხდომის დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. "ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ავტორიზაციის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 5 დეკემბრის №1566706 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარის განხილვა.

პირველი საკითხი: "ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ავტორიზაციის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 5 დეკემბრის №1566706 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარის განხილვა.

საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება/თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარსა და თანდართულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საკითხის ზეპირი მოსმენა

სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარე, გოდერძი ბუჩაშვილმა აღნიშნა, რომ სააპელაციო საბჭო პირველად ჯერ მოუსმენდა ავტორიზაციის საბჭოს, ხოლო შემდეგ დაწესებულების წარმომადგენელს. ბოლოს კი საბჭოს წევრები დასვამდნენ შეკითხვებს. მისი თქმით, ამის შედეგად სააპელაციო საბჭო სათათბირო შეხვედრაზე მიიღებდა შემდეგ გადაწყვეტილებას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ძალაში დატოვების ან ამ საკითხის ხელახალი განხილვისთვის უკან დაბრუნების შესახებ.
საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა, მიმართა ავტორიზაციის საბჭოს წარმომადგენელს დაეფიქსირებინა მათი პოზიცია და მოსაზრება.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ იოსელიანმა განაცხადა, რომ მაშინ, როდესაც ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ავტორიზაციის საკითხი განიხილებოდა, ის იყო არა საბჭოს თავმჯდომარე, არამედ საბჭოს წევრი. ავტორიზაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება იყო გონივრული, რომელიც მიმართული იყო უნივერსიტეტის მდგრადი განვითარებისკენ. მისი თქმით, საბჭოს მიზანი იყო არა დაწესებულების მიერ დაწყებული პროგრესის შეჩერება, არამედ დადგენილი სტანდარტების დაცვა. სტუდენტთა რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება ეფუძნებოდა სისტემური მდგრადობის დაცვას. გადაწყვეტილების მიღების დროს ავტორიზაციის საბჭომ გაითვალისწინა არა მხოლოდ ინფრასტრუქტურა და ადამიანური რესურსი, არამედ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა და მათ მიერ გაცემული რეკომენდაციები. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ექსპერტების მიერ გაცემული იყო ექვსი რეკომენდაცია, ხოლო ავტორიზაციის საბჭოს მიერ კი მოხდა ხუთი რეკომენდაციის დამატება.

სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა, საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა დაეფიქსირებინა მათი პოზიცია და მოსაზრება.

ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის რექტორმა, მარინე იოსელიანმა აღნიშნა, რომ ყველა იცნობდა დაწესებულების განვითარების ისტორიას და ეს სიახლეს არ წარმოადგენდა. მისი თქმით, უნივერსიტეტი იყო ღია და გამჭვირვალე. ყველასთვის გასაგებია იყო ის ფაქტი, რომ ხარისხთან დაკავშირებული ქმედებები ძალიან ართულებდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ცხოვრებას. ართულებდა იმ თვალსაზრისით, რომ ბევრი რამე იყო დასახვეწი და გასასწორებელი. მან აღნიშნა, რომ დაწესებულების არსებობის განმავლობაში უნივერსიტეტის დამოკიდებულება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან იყო და ყოველთვის იქნებოდა კოლეგიალური და თანამშრომლური. 30 წელი იყო უკვე, რაც დაწესებულება იღებდა დახმარებას სხვადასხვა უნივერსიტეტებისგან, რომლებიც ქვეყნის გარეთ ახორციელებდნენ უმაღლეს საგანმანათლებლო საქმიანობას. უნივერსიტეტი ამ ფაქტს ძალიან რუდუნებით უყურებდა. მან აღნიშნა, რომ პასუხისმგებლობა ხარისხზე ეკისრებოდა როგორც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ისე განათლების ხარისხსის განვითარების ეროვნულ ცენტრს. ის თვლიდა, რომ ეს იყო ერთობლივი საქმე. პარტნიორული ურთიერთობა გულისხმობდა კონკრეტული კატეგორიების დაცვას. მაგალითად, დაჩაგრულობის აღქმის შემთხვევაში დაწესებულებას არასოდეს დურღვევია ის ზღვარი, რომ ეს საკითხი საჯარო განხილვაზე გამოეტანა. მარინე იოსელიანმა გამოთქვა იმედი იმის თაობაზე, რომ დაწესებულების ასეთი დამოკიდებულება იქნებოდა ორმხრივი და არა ცალმხრივი. ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, თედო სანიკიძემ, განაცხადა, რომ დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი კარგად გამოიყენა სტრატეგიის განახლებისთვის და ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის, რომელიც წინა პერიოდში გამოწვევას წარმოადგენდა. უნივერსიტეტი გადავიდა ახალ კამპუსში, დაიმატა 5 000 კვადრატულზე მეტი შენობა, რომელშიც 2 მლნ ლარზე მეტი ინვესტიცია განხორციელდა. მან აღნიშნა, რომ არსებული ცვლილებები კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების

ფარგლებში განხორციელდა. დაწესებულებამ გაზარდა აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა და მიზნად დაისახა სტუდენტთა რაოდენობის გაზრდა როგორც არსებული, ისე მომავალში განსახორციელებელი პროგრამების ფარგლებში. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ შემუშავდა დეტალური გეგმა როგორც სტუდენტთა კონტინგენტის ზრდის, ისე აკადემიური, ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალის მიმართულებით. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი დაწესებულებაში კონსტრუქციულ გარემოში ჩაიარა. უნივერსიტეტმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების ის ნაწილი გაიზიარა, რომელიც ნამდვილად ემსახურებოდა დაწესებულების სამომავლო განვითარებას. უნივერსიტეტმა არ გაიზიარა რეკომენდაციების ის ნაწილი, რომელიც მიჩნეული იქნა არარელევანტურად შესაბამისი დოკუმენტაციის არ გამოთხოვების გამო. ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შემდეგ, ექსპერტებმა რეკომენდაციების მხოლოდ ის ნაწილი დატოვეს ძალში, რომლებსაც უნივერსიტეტი ეთანხმებოდა. ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, უნივერსიტეტი შესაბამისობაში იყო შვიდივე სტანდარტთან. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ავტორიზაციის საბჭოს წევრების მიერ დაწესებულებისა და ექსპერტების მიმართ შეკითხვები არ ყოფილა დასმული. შესაბამისად, გადაწყვეტილება, რომელიც ავტორიზაციის საბჭომ მიიღო, უნივერსიტეტისთვის სიურპრიზი იყო. მას შემდეგ, როდესაც დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს თავმჯდომარეს მიმართა განმარტების გაკეთების მიზნით, საბჭოს თავმჯდომარემ უპასუხა, რომ ოქმში იქნებოდა სამოტივაციო ნაწილი მოცემული მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, თუმცა ამის შესახებ ინფორმაცია საერთოდ არ იყო მოცემული ოქმში. მან განმარტა, რომ ავტორიზაციის დებულებით ავტორიზაციის საბჭო ვალდებული იყო, რომ გამოეკვლია საქმისთვის ყველა მნიშვნელოვანი გარემოება და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, დაესაბუთებინა ის. მისი თქმით, დაწესებულების მოთხოვნა სააპელაციო საბჭოს მიმართ იყო ის, რომ ავტორიზაციის საბჭოს ახლიდან განეხილა ავტორიზაციის საკითხი. მან დასძინა, რომ საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები რელევანტური იქნებოდა მაშინ, როდესაც დაწესებულებას გაზრდილი ექნებოდა სტუდენტთა მიღების კვოტა. მოცემულ შემთხვევაში კი ეს ასე არ იყო. ამრიგად, გაუგებარია დაწესებულებას რა საფუძვლით უნდა შეესრულებინა ძალაში დატოვებული რეკომენდაციები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, დავით წასიძემ, აღნიშნა, რომ ექსპერტებს ჰქონდათ უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან შეხვედრები. შეხვედრების შედეგად დადგინდა, რომ უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა გამართულად ფუნქციონირებდა და „PDCA“ ციკლი წარმატებით მუშაობდა. ასევე ექსპერტებმა ისიც აღნიშნეს, რომ ის ინსტრუმენტები, რომლებიც ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით არის წარმოდგენილი, გაციფრულებული იყო. ეს კი იმის შესაძლებლობას იძლეოდა, რომ ადამიანური და დროითი დაზოგვის ფონზე მიღწეული ყოფილიყო ის შედეგები, რომლებიც ამ სამსახურს აკისრია. მისი თქმით, ავტორიზაციის დებულება არ განსაზღვრავდა იმას თუ როგორი უნდა ყოფილიყო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის სტრუქტურა და ამ ნაწილს ღიას ტოვებდა. მთავარი ის იყო, რომ ხარისხის უზრუნველყოფის შედეგები, რომლებსაც ინსტიტუცია იღებდა სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის შედეგად, რეალურად ეს ფუნქციონირებულიყო და აქედან მიღებული გადაწყვეტილებები გამოყენებული ყოფილიყო შემდგომი საქმიანობისთვის. კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, ნანი მაჭარაშვილმა განაცხადა, რომ ინსტიტუციას ამჟამად წინმსწრებად ჰქონდა დაკმაყოფილებული ტექნიკური, ადამიანური, ფინანსური და კვლევის მიმართულებით განვითარებისათვის საჭირო ის რესურსები, რომლებიც საჭირო იყო სტუდენტთა კვოტის დასაკმაყოფილებლად. ადამიანური რესურსების მართვის კუთხით 4 500 სტუდენტისთვის საჭირო ვადებისთვის დასაკმაყოფილებელ პერიოდთან შედარებით თანაფარდობა 79%-ით იყო დაკმაყოფილებული. დაწესებულებას 179 აკადემიური პერსონალი ჰყავს, რომელიც მუდმივად იზრდება ახალი პროგრამების არსებობიდან გამომდინარე. მისი თქმით, თუ კვოტა არ გაეზრდებოდა დაწესებულებას, მაშინ ეს ნიშნავდა, რომ უნივერსიტეტს მდგრადი განვითარების

შესაძლებლობა ეხსნებოდა. ჯერ კიდევ ბევრად ადრე დაკმაყოფილდა ის პირობები, რომლებიც 2007 წლის მისაღწევ სამიზნე მაჩვენებლებად იყო იდენტიფიცირებული. ყველა სტატუსშეჩერებულთა სტუდენტს რომ აღედგინა სტუდენტის სტატუსი, ყველა მათგანის დაკმაყოფილებას დაწესებულება ვერ მოახერხებდა. მან აღნიშნა, რომ 4 500-ზე მეტი კვოტის მოთხოვნისთვის დაწესებულება ბევრად უფრო მეტად იყო მზად, ვიდრე აქამდე. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, დავით წასიძემ, განაცხადა, რომ როდესაც საუბარი იყო სტუდენტთა კონტინგენტზე, გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ექსპერტთა ჯგუფის შეფასების დინამიკა. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში ნამდვილად ფიგურირებდა სტუდენტთა კონტინგენტის ზრდის მიზნებთან დაკავშირებული რეკომენდაცია, თუმცა მას შემდეგ, რაც ექსპერტები გაეცვნენ დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას, ეს რეკომენდაცია ამოიღეს.

სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა საბჭოს წევრებს მიმართა კითხვების არსებობის შემთხვევაში მხარეებისთვის დაესვათ.

სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, ექსპერტთა მიერ შედგენილ საბოლოო დასკვნაში მოცემული იყო მესამე და მეოთხე რეკომენდაცია. მესამე რეკომენდაცია ეხებოდა აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მიერ დატვირთვის შესრულების შეფასებასა და რეაგირების ეფექტურ მექანიზმებს, ხოლო მეოთხე რეკომენდაცია განსაზღვრავდა მოთხოვნას სწავლა სწავლების პროცესების მდგრადობის უზრუნველყოფისა და სამეცნიერო კვლევების გაძლიერების მიზნით აკადემიური და აფილირებული პერსონალის რაოდენობის გაზრდას. მას აინტერესებდა, ეს რეკომენდაციები ავტორიზაციის საბჭოს, თუ ექსპერტების მიერ იყო შედგენილი.
დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, დავით წასიძემ, განაცხადა, რომ ეს რეკომენდაციები იყო ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული. მისი თქმით, უნივერსიტეტმა ეს რეკომენდაციები გაიზიარა, რადგან პერსონალის მატება იყო სტრატეგიული განვითარების გეგმის ნაწილი. დაწესებულება ეტაპობრივად ფიქრობდა ამ სამიზნე ნიშნულების მიღწევას.
გოდერძი ბუჩაშვილმა, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, თუ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები გულისხმობდა მზაობას იმისათვის, რომ კონტინგენტი გაზრდილიყო, მაშინ ეს ნიშნავდა თუ არა იმას, რომ უნივერსიტეტი არ იყო მზად კონტინგენტის გაზრდისთვის.
საგანმანათლებლო დაწესებულების კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, ნანი მაჭარაშვილმა, განაცხადა, რომ ავტორიზაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება იყო არათანმიმდევრული, რომელიც წინააღმდეგობაში მოდიოდა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასთან. შესაბამისად, თუ უნივერსიტეტს არ მიეცემოდა 4 500-მდე კონტინგენტის ზრდის შესაძლებლობა, მაშინ რით იქნებოდა განპირობებული ზრდაზე ორიენტირებული რეკომენდაციების პაკეტი გაუგებარი იყო.
გოდერძი ბუჩაშვილს აინტერესებდა, ამჟამად რამდენი სტუდენტი იყო დაწესებულებაში.
საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებმა ადამიანური რესურსების სამსახურის ხელმძღვანელმა, ელენე ბერიძემ, განაცხადა, რომ დაწესებულება მზად იყო სტუდენტთა კვოტის მომატებისთვის, რადგან მუდმივად მზარდი იყო უნივერსიტეტის მაჩვენებელი ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით. მისი თქმით, საავტორიზაციო წარმოებიდან დღემდე აკადემიური პერსონალის მიმართულებით 3%-იანი ზრდა იყო, ხოლო 17%-იანი ზრდა ადმინისტრაციული პერსონალის მიმართულებით.
საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, თედო სანიკიძემ, სტუდენტთა რაოდენობასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დღეის მდგომარეობით როგორც აქტიური, ისე შეჩერებული იყო დაახლოებით 2 800 სტუდენტამდე. რექტორმა, მარინე იოსელიანმა დაამატა, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს ყველა იმ მოთხოვნას, რომელიც

საჭიროა სტუდენტთა კვოტის გაზრდისთვის. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი ვერ ხვდებოდა იმ მიზეზს თუ რატომ არ გაუზარდა ავტორიზაციის საბჭომ სტუდენტთა მიღების კვოტა.

დავით წასიძემ აღნიშნა, რომ შესაძლებელი იყო 2 200 სტუდენტს დამატებოდა სტატუსშეჩერებულთა სტუდენტთა რაოდენობა მათ მიერ სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში, თუმცა ეს ხელს შეუშლიდა მომავალში ახალ გამოცხადებებს.
საბჭოს წევრმა, ირმა შიოშვილმა, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, ექსპერტების ვიზიტის დროს იყო თუ არა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესახებ დოკუმენტი გამოთხოვილი.
თედო სანიკიძემ განაცხადა, რომ ექსპერტების ვიზიტის მსვლელობისას იყო ამ დოკუმენტზე საუბარი და უნივერსიტეტმა შესაბამისი უკუკავშირი დაუბრუნა ექსპერტებს, თუმცა მატერიალური სახით ეს დოკუმენტი გამოთხოვილი არ ყოფილა. ეს დოკუმენტი მომზადდა ავტორიზაციის პროცესის დაწყებისთანავე. საავტორიზაციო განაცხადს ეს დოკუმენტი არ ერთოდა თან მისი არასავალდებულო ხასიათიდან გამომდინარე. მას შემდეგ, როდესაც ამ საკითხზე დაიწერა დასკვნის პროექტში, მაშინ მოხდა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესახებ დოკუმენტის გაზიარება.
ირმა შიოშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, კონტინგენტის ზრდის დაგეგმვა არსებული თუ ახალი პროგრამების დამატების ხარჯზე ხდებოდა.
დავით წასიძემ უპასუხა, რომ კონტინგენტის ზრდის დაგეგმვა არსებული და ახალი პროგრამების დამატების ხარჯზე ხდებოდა.
მარინე იოსელიანმა აღნიშნა, რომ კვოტის მომატების შემთხვევა გულისხმობდა არსებულ პროგრამებზე რაოდენობის გაზრდას და ფასების ცვლილებას. შესაბამისად, უნივერსიტეტს აღარ ეძლეოდა სხვა შემთხვევაში შანსი, რომ ის ყველაფერი, რომელიც გაწერილი იყო სტრატეგიულ გეგმაში რეალობაში მოეყვანა.
ნანი მაჭარაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა კონკრეტული დეტალური მეთოდოლოგია შემუშავებული, რომელშიც მოცემული იყო სტუდენტსა და აკადემიურ პერსონალს შორის, სტუდენტსა და ადმინისტრაციულ პერსონალს შორის მიმართებები. ეს დოკუმენტი შემუშავებული იყო საერთაშორისო სტანდარტებისა და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით. შესაბამისად, 4 500 სტუდენტზე მოთხოვნაც სწორედ პრატნიორი უნივერსიტეტის თანაფარდობაზე იყო ორიენტირებული.

საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ მათ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 12:45
დასრულების დრო: 13:40

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: "ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ავტორიზაციის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 5 დეკემბრის №1566706 გადაწყვეტილების გაზიარების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 4.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმნათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 101-ე მუხლის მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გაზიარებულ იქნას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 05 დეკემბრის №1566706 გადაწყვეტილება "ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ავტორიზაციის შესახებ".

საკითხის განხილვის შემდეგ, სხდომა დახურულად გამოცხადდა 13:43 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი / სააპელაციო საბჭო
საბჭოს მდივანი
გილაშვილი ქეთევან

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
სააპელაციო საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი